აწმყო და წარსულის გაკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
“პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №11, 2025 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **“მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

“შეებრძოლოს დეზინფორმაციას, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებს და ჩარევას ევროკავშირისა და მის ღირებულებების წინააღმდეგ“, – ასეთი იყო ევროკომისიის 9 პირობიდან ერთ-ერთი, სადაც რუსულ მანიპულაციებზე იყო მინიშნება და რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს ევროინტეგრაციის გზაზე.

რუსული დეზინფორმაცია საქართველოში

ამ დათქმის შემოღება ძირითადად განპირობებული იყო დეზინფორმაციით, რომელიც მიმართული იყო არა მხოლოდ დასავლეთის დისკრედიტაციისკენ და მისი მტრად წარმოჩენისკენ, არამედ იმისკენ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამყოფოს მუდმივ შიშსა და ომის მოლოდინში. ამ დროს რაციონალური გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთულია, რაც წარმოადგენს კიდეც საინფორმაციო მანიპულაციის ერთ-ერთი მიზანს.

რუსული დეზინფორმაცია ემსახურება რუსეთისათვის მეგობრის მანტიის მორგებას და საზოგადოების განწყობას ნამდვილი მეგობრების – ევროპის წინააღმდეგ.

„გაყალბე ისტორია, შეცვალე მომავალი“

ეს კრემლის ერთერთი მეთოდია. მის მიერ ისტორიის გადაწერას საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია აქვს, იმპერიული პერიოდიდან. დღესაც, ფსევდოაკადემიური მონოგრაფიები და გაყალბებული რუკები იმეორებენ საბჭოთა მეთოდებს, რათა ხელი შეუწყონ რუსეთის უძლეველობისა და პუტინის სრული უზენაესობის მითებს.

ფუნდამენტური ლოგიკაა, რომ „კრემლმა თქვენი ისტორია იცის თქვენზე უკეთ“ და როდესაც რეალობა ეწინააღმდეგება კრემლის ამბიციებს, “რეალობა იცვლება“.

ისტორია კრემლისთვის არის „ნაწერი ქვიშაზე“, სადაც შესაძლებელია საზღვრების გადახაზვა, მეზობლების რეალობის, არასასიამოვნო ჭეშმარიტების ჩუმად წაშლა“.

რუსეთმა (როგორც იმპერია, საბჭოთა კავშირი თუ თანამედროვე ფედერაცია) არაერთხელ სცადა საქართველოს ისტორიის გაყალბება, რათა გაემართლებინა თავისი პოლიტიკური და ტერიტორიული ამბიციები. ეს პროცესი მოიცავს ისტორიული ფაქტების დამახინჯებას, პროპაგანდას და დეზინფორმაციას სხვადასხვა ეპოქაში.

საქართველოს ისტორიის გადაკეთების ძირითადი პერიოდები

1. რუსეთის იმპერია (XIX საუკუნე)

1801 წლის ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსულ ისტორიოგრაფიაში ხშირად წარმოჩენილი იყო როგორც “ნებაყოფლობითი შეერთება“. ეს გაყალბება მიზნად ისახავდა იმპერიის ექსპანსიის ლეგიტიმაციას და საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის შემცირებას.

2. სსრკ (1920-იანი, 1980-იანი წლები)

- საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) დაპყრობას და ოკუპაციას საბჭოთა პროპაგანდა “განთავისუფლებად“ ასაღებდა.
- **1920-იანი წლები, სამხრეთ ოსეთი, “ქართული საქმე“**: გაყალბდა სამხრეთ ოსეთის ისტორია, თითქოს სტალინმა “გადასცა“ იგი საქართველოს, მაშინ როცა იგი ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო.
- აფხაზეთის ისტორიაც გაყალბდა, თითქოს იგი საქართველოს ისტორიული ნაწილი არ იყო.

3. თანამედროვე რუსეთი (1990-იან წლებიდან დღემდე)

პუტინის რეჟიმი იყენებს ისტორიულ რევიზიონიზმს პოლიტიკური მიზნებისთვის, ჩანაცვლებს რეალურ ფაქტებს ალტერნატიული, გაყალბებული ვერსიებით. ეს მოიცავს საბჭოთა მემკვიდრეობის განდიდებას და ყალბი მოგონებების „დანერგვას“ ქართულ საზოგადოებაში.

განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და შემდეგ, რუსეთმა გააძლიერა დეზინფორმაცია საქართველოში. მაგალითად, პუტინმა ქართველების 1924 წლის აჯანყებას „რუსების გენოციდი“ უწოდა. სინამდვილეში ეს ფაქტობრივად იყო პასუხი რუსულ ბოლშევიკურ რეპრესიებსა და გენოციდზე.

რუსეთის მცდელობები საქართველოს ისტორიის გაყალბებისა არის სისტემური და მიზანმიმართული, ხშირად დაკავშირებულია ტერიტორიულ დავებთან (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და გეოპოლიტიკურ ინტერესებთან.

რუსული დეზინფორმაცია მიზნად ისახავს საზოგადოების პოლარიზაციას, დასავლური ინტეგრაციის პროცესის შეფერხებას და რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციების ლეგიტიმაციას.

რუსეთი აყალბებს უკრაინის, ბალტიისპირეთის ქვეყნების და ყველას ისტორიას, ვისი მართვითაც არის დაინტერესებული.

რას ემსახურება რუსული დეზინფორმაცია?

კრემლი ცდილობს, წარმოაჩინოს რუსეთი როგორც უძლეველი და ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ყოველთვის მზადაა დაიცვას თავისი ინტერესები. პუტინის პერსონალური კულტი და მისი ძლიერი ლიდერის იმიჯი ხშირად გამოიყენება შიდა და გარე პოლიტიკის გასამართლებლად.

კრემლი იყენებს დეზინფორმაციას, რათა გაამართლოს თავისი აგრესიული ქმედებები მეზობელი ქვეყნების მიმართ და გააძლიეროს თავისი გავლენა. ცდილობს, მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი გააუფასუროს და წარმოაჩინოს ისინი როგორც რუსეთის ბუნებრივი გავლენის ზონა. ისტორიის გადაკეთება და გაყალბება გამოიყენება, რათა გაამართლოს რუსეთის იმპერიული ქმედებები და გააძლიეროს მისი პოზიციები.



ჩრდილოეთის მომხრენი ვართ თუ აღმოსავლეთისა ან დასავლეთისა, ამის შესახებ დავა და კამათი უნაყოფოა და მავნებელიც.

საითაც ქვეყანა ტრიალებს, ჩვენც იქით უნდა ვიბრუნოთ პირი. ხოლო იგი უძლეველის ძალით მიექანება დასავლეთისკენ.

მისი გზა მოსკოვსა და პეტროგრადზე კი აღარ მიდის, არამედ შავ ზღვასა სჭრის და დუნაის ხეობაზე გადადის.

გვეყო მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილული ევროპული კულტურით კვება, რომელსაც უფრო მეტი მონღოლური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი...

მიხეილ ჯავახიშვილი

საქართველოში გავრცელებული დეზინფორმაციული აქცენტები



კრემლის პროპაგანდა საქართველოში კონკრეტულ თემებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა ამოცნობა და გაუვნებელყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათგან თავდაცვისათვის. ეს თემებია: ევროკავშირი მალე დაიშლება, „ნატო" საშიშია, ლუგარში ამერიკელები ბიოიარაღს ამზადებენ, ევროპაში ოჯახური ღირებულებები განადგურებულია, საქართველო რუსეთზეა დამოკიდებული, დასავლეთი ვერ გვიშველის, საქართველოს გლობალური ძალები აკონტროლებენ, ჩვენი ხელისუფლება არაფერს წყვეტს...

16 დეკემბერს ზოგად საკითხთა საბჭოში ევროკავშირის მინისტრებმა გაფართოების პროცესის პროგრესი განიხილეს. საბჭომ კვლავ დაადასტურა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს „ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ევროპულ მისწრაფებებს", დაგმო საქართველოს ხელისუფლების მიერ დეზინფორმაციისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო ნარატივების გავრცელება და ამ პროცესის შეჩერება მოითხოვა.

საბჭო აღნიშნავს საქართველოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროებში არსებულ სერიოზულ საერთო უკუსვლას, მათ შორის ისეთი რეპრესიული კანონმდებლობის მიღებით, რომელიც ძირს უთხრის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე, სასამართლოს პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას, ოპოზიციის ლიდერების დევნას, მომიტინგეებისა და ჟურნალისტების თვითნებურ დაკავებებს და სამოქალაქო სივრცის შეზღუდვას".

რუსეთის მიზანია უკრაინის დაპყრობა

2025 წლის 4 დეკემბერს ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: **„ჩვენ დავასრულებთ მას, როდესაც მივაღწევთ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის" დასაწყისში დასახულ მიზნებს"**. ეს პოზიცია მიუთითებს რუსეთის ინტერესის ნაკლებობაზე კომპრომისისა და კონფლიქტის მოლაპარაკებით გადაწყვეტის მიმართ.

პრო-კრემლის დეზინფორმაცია აგრძელებს უკრაინისა და ევროპის დადანაშაულებას იმის მიუღებლობაში, რასაც ის „მშვიდობას" უწოდებს, თუმცა ეს ფაქტობრივად არის უკრაინის კაპიტულაციის მოთხოვნა.

როგორ ცდილობს პრო-კრემლის დეზინფორმაცია ევროკავშირის ომის გამგრძელებლად წარმოჩენას?

პრო-კრემლის დეზინფორმაციული ნარატივი ევროკავშირს აბრალებს, რომ მას არ სურს ომის დასრულება უკრაინაში.

ეს დეზინფორმაცია ემსახურება ყურადღების გადაიტანას – რუსეთის პასუხისმგებლობიდან მეზობლის წინააღმდეგ გამართული სასტიკი და უმიზეზო აგრესიის გამო. კონკრეტულად, დეზინფორმაცია ამტკიცებს, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ლიდერი ცდილობს უკრაინაში კონფლიქტის გახანგრძლივებას, რადგან გეგმაშია ევროკავშირის სამხედრო ალიანსად გადაქცევა. თითქოს ევროპა ეწინააღმდეგება სამშვიდობო შეთანხმებას, ევროკავშირის ერთადერთი მიზანი რუსეთის წინააღმდეგ ომის წარმოებაა მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად... დეზინფორმაციაში დასახელებული მოტივები გამოგონილია და არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით.

ევროკავშირის ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მხოლოდ უკრაინას, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლს, შეუძლია გადაწყვიტოს, როდის იქნება შესაძლებელი რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებები და რა პირობებით დასრულდება ომი. ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინაში ომის მშვიდობიან მოგვარებას, კიევის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით.

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი "პროგრესის სახლის" მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com